შ.პ.ს „დაიმონდ კონსტრაქშენ“ სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ჯგუფი
lTD "Diamond Constructions" construction and Group of design works

თბილისი, მის: ქუთათელის ქ. №31/2 Tbilisi, Address: Kutateli str. № 31/2

tel: (+995591601530) E-mail: ltd.diamond2016@gmail.com

# შენობის მშენებლობის ორგანიზების პროექტი

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N164, საკ.კოდით: 01.13.07.024.026 არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის (ძეგლზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საკ.ნუმერციით შენობა N46/3) მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

ვამტკიცებ შ.პ.ს. „დაიმონდ კონსტრაქშენი’’-ს

დირექტორი _____ ლ. ალავერდაშვილი

„––14––” „––––09––––” 2023 წ

**LTD diamond construction**

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N164, საკ.კოდით: 01.13.07.024.026 არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის (ძეგლზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საკ.ნუმერციით შენობა N46/3) მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

**ქ. თბილისი**

**2023 წელი**

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ

Diamond Construction LTD 404541297

# შინაარსი

## I განმარტებითი ბარათი


1. საერთო ნაწილი
2. სამშენებლო პირობების დახასიათება
3. სარეკონსტრუქციო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია
5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
6. მშენებლობის გამხორციელების რიგითობა და ეტაპები
7. ხანგრძლივობის დადგენა
8. უსაფრთხოების ტექნიკა
9. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი.

III გამოყენებული ლიტერატურა

IV მშენებლობის წარმოების გრაფიკი

V ტოპოგებმაზე დატანილი დეტალები




# I განმარტებითი ბარათი

## 1. საერთო ნაწილი

ა) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

– დავალება პროექტირებაზე;

– პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები;

– რაიონის სიტუაციური გეგმა;

- გეოდეზიური გეგმები და პროფილები;

- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

გ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტის ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

## 2. მშენებლობის პირობების დახასიათება

სარეკონსტრუქციოდ გამიზნული ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, საკ.კოდით: 01.13.07.024.026) არსებულ მოედანზე ხორციელდება არა საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის (ძებლზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, საკ.ნუმერაციით შენობა №46/3) რეკონსტრუქცია , დამკვეთი: ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდი.

არქიტექტურული თვალსაზრისით შენობა საკ. ნუმერაციით 46/3 განეკუთვნება III კლასის შენობა-ნაგებობას, კლასი დადგენილია როგორც შენობების მოცულობით ისე მალებს შორის არსებული მანძილებით, შენობაზე განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განისაზღვრა როგორც II კლასის სამუშაო

## 3. სამშენებლო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოიცავს (როგორც წარმოდგენილი არქიტექტურული ისე კონსტრუქციული პროექტით): შენობის სრულ გამაბრებას და ჩამოშლილი ნაწილების აღდგენას. ამჟამად შენობა წარმოადგენს, როგორც კონსტრუქციული ისე არქიტექტურული თვალსაზრისით შერეული კონსტრუქციის ნაგებობებს, ამჟამინდელი მდგომარეობით აღნიშნული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო ნუმერაციით შენობა №46/3) ავარიულია, დაზიანებულია მზიდი კედლების ნაწილი, გადახურვის კონსტრუქციები (რიგ ადგილებში სახურავი ჩამონგრეულია), სართულშუა გადახურვის ფილები და შემავსებელი კედლები.



**სარეკონსტრუქციო შენობის მზიდი ელემენტები განხორციელებულია შემდეგი კონსტრუქციებისგან:**

**საძირკვლები: -** სარეკონსტრუქციო ნაგებობას გააჩნია ლენტური ტიპის საძირკველი (არმატურის კლასიფიკაცია და ბეტონი ბეტონის მარკიანობა დადგენილი არ არის).

**მზიდი ელემენტები: -** როგორც ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენდა სამშენებლო ბლოკის და აბურის წყობით ნაშენი მზიდი კედლები, ასევე მონოლითური სვეტები და რიგელები.

**გადახურვის ფილები -** სართულშუა გადახურვები შესრულებულია როგორც ანაკრები სიმკარის ფილებით, ისე მონოლითური ფილების მეშვეობით.

**შენობის გადახურვა:** შენობას გააჩნია მრავალძანობიანი შერეული კონსტრუქციის გადახურვა, კერძოდ შენობის დიდი ნაწილი გადახურულია ლითონ-კონსტრუქციებით, ხოლო დანარჩენ ნაწილში გამოყენებულია ხის კონსტრუქციებისგან შეკრული ძანობიანი გადახურვები

**უზრუნველყოფა:** დროებითი ელ.ენერგიის და საინჟინრო კომუნიკაციები სამშენებლო მოედანზე შეძვანილი არის.

## 4. სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

ა) სამშენებლო-სარეკონსტრუქცია მოედნის ორგანიზაცია-გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით სნ და წ 3.01.01 – 85 №1 და №2 დებულებების მიხედვით. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება

ბ) სამუშაოების დაწყების წინ სპეციალისტების მიერ სრულდება ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები შენობის მიბმითა და ღერძების დაკვალვით.

გ) სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების და ხანძარ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა. ამ მიზნით მუშა მოსამსახურეებზე უნდა ჩატარდეს ინსტრუქტაჟი გამოცდების ჩატარებით.

## 5. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად – მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაობი;

**მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:**

1. ტერიტორიაზე შესასვლელში შესაბამისი გამართხილებელი ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი ღობის და ჯიხურის მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით;

2. დროებითი წყლის გადამყვანების და კანალიზაციის მოწყობა, დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა.

3. სარეკონსტრუქციო შენობის გეოდეზიური დაკვალვა.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

**ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ:**

1. არსებული საძირკვლის გაძლიერებას და ახლის მოწყობას მოწყობა სახურავის მოხსნა.

2. რკ/ბეტონის სვეტების და რიგელების ასევე, სხვა მზიდი ელემენტების მოწყობა-გამაგრებას.

3. არამზიდი კონსტრუქციების აღდგენას;

4. სახურავის სრულ რეაბილიტაციას და ახლით ჩანაცვლებას.

5. ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა;

შენიშვნა: – ყველა ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;

მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს ყველა ფარულ სამუშოებზე; აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამშენებლო მოედნის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი (II თავი) მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების შურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ძმედება; ასევე ტექნიკური შსაფრთხოების და ტექნიკური ზედამხედველობის შურნალები.

## 6. მშენებლობის განხორციელების რიგითობა და ეტაპები

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით ობიექტზე განისაზღვრა შემდები სამშენებლო ეტაპები:

**I რიგის სამუშაოები :** 1. მოსამზადებელი სამუშაოები, (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შემოღობვა).

2. სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ბრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

(ორი ეტაპის სამშენებლო ვადად განისაზღვრა 30 დღე).

**II რიგის სამუშაოები:** ძირითადი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გამოიყო ოთხი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი სახის სამუშაოები:

1) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის (რეკონსტრუქცია), შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის (რეკონსტრუქცია) სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა (რეკონსტრუქცია) მიწის პირის ნიშნულამდე (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 90 დღე).



2) შენობა-ნაგებობის მეორე სართულის ძირითადი კონსტრუციული სისტემების (არამზიდი კონსტრუციების გამოკლებით) მოწყობა (რეკონსტრუცია), შენობა-ნაგებობის მესამე სართულის ძირითადი კონსტრუციული სისტემების (არამზიდი კონსტრუციების გამოკლებით) მოწყობა (რეკონსტრუცია).

(სამშენებლო ვადად განისაზღვრა 90 დღე).

3) შენობა-ნაგებობის საურავის და გადაურვის მოწყობა (რეკონსტრუცია), არამზიდი კონსტრუციების მოწყობა (რეკონსტრუცია), შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტენიკური ქსელების მოწყობა, შენობა-ნაგებობის გადე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნაგვის გატანა. (სამშენებლო ვადად განისაზღვრა 150 დღე).

შენიშვნა : სამშენებლო ეტაპებიის დასახელებები გადმოტანილი იქნა №255 დადგენილების 20 მუხლში მითითებული დასახელებების იდენტურად.

დაშლის სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელით და მსუბუქი ტექნიკის გამოყენებით, მძიმე ტექნიკის გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან შენობის ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე მძიმე ტექნიკამ შეძლება გამოიწვიოს შენობის ჩამოშლა.

სულ დადგინდა 5 ერთეული ეტაპი.

## 7. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტის არსებული, არქიტექტურულ – მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით საშუალო კატეგორიისაა.

მშენებელობის ხანგრძლივობას ვადგენთ **T**=12 თვეს

## 8. უსაფრთხოების ტექნიკა

ა) უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა მომსახურეთა ყოფნა სამშეებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ) მუშა – მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

გ) სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა – მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით.

დ) მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III – 4 – 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ – საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD
404541297

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აბრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოზე წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

3. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

4. ელექტრო შსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

6. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე აუილებელია დროებითი გამაბრებების მოწყობა ლითონის საბჯენებით, რათა აცლებული იქნას შენობის ნაწილობრივი დაშლის დროს შენობის ჩამონგრევა.

**შენიშვნა: სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია ადგილზე ინჟინერ-კონსტრუქტორის დასწრება, ასევე შენობის დაზიანებული ნაწილის დაშლის დაწყებამდე უნდა შედგეს შესაბამისი დროებითი გამაბრების პროექტი.**

## 9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

ა) სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყება დაიშვება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. ღეკონსტრუქციის სამუშაოებისას აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

ბ) გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე სამშენებლო მოედნის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ) დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და სხვა ძიმიური ხსნარების მილსადენებში ჩარეცხვა, ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

დ) საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

ე) რეკონსტრუქციის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის

შპს დიამონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD
404541297

ღიად ჩამოქრა დაშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხვდეს მტვრის ბაბნევა და სელიტებულ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ნაბავ ბამტარებით. ნაბვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტო თვითმცლელი მანქანების ძარებში.

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

# II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

| № | დასახელება | მარკა | რაოდ.ცალი |
|---|---|---|---|
| 1 | თვითმცლელი სამშენებლო ნაგვის გასატანად | | 3 |
| 2 | ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშ. ტვირთის შემოსატანად | | 1 |
| 3 | ზედაპირული ვიბრატორი (სამოედნო) | ს-697 | 2 |
| 4 | ელ. შესადუღებელი აპარატი | კომპ. | 2 |
| 5 | ანევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი, და სხვა | | |
| 6 | სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები; ნიჩბები, ბარები, წერაქვები და სხვა | | |
| მითითებები: რეკომენდირებული მანქანა–დანადგარები, კერძოდ ამწე მექანიზმის მონტაჟი ადგილზე არ საჭიროებს (შენობის მოცულობიდან გამომდინარე) | | | |

**შემსრულებელი:** ლ. ალავერდაშვილი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

# III გამოყენებული ლიტერატურე

| | |
|---|---|
| СН И П III -4-80 | Техника безопасности в строительстве |
| СН И П 3-02-01-87 | Земляные сооружения |
| СН И П 1-04-03-85 | Нормы проолжительности строительства и задела в строительстве предприатий зданий и сооружений |
| СН И П 3-01-01-85 | Организация строительного производства |
| СН И П РН-73 | Расчетные нормативы |



# მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

| № | სამუშაოთა ჩამონათვალი | დღე | 12 თვე | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I თვე | | | II თვე | | | III თვე | | | IV თვე | | | V თვე | | | VI თვე | | | VII თვე | | | VIII თვე | | | IX თვე | | | X თვე | | | XI თვე | | | XII თვე | | |
| I | მშენებლობის პირველი რიგი | | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 | 10 | 20 | 30 |
| | მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1.ეტ. | მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა). | 20 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.ეტ. | შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | მშენებლობის მეორე რიგი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | ძირითადი სამუშაოების პერიოდი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1.ეტ. | შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის (რეკონსტრუქცია) სამუშაოები , შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის (რეკონსტრუქცია) სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (რეკონსტრუქცია) შენობა-ნაგებობის მიწის პირის ნიშნულამდე. შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდა პირველი სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა, | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2.ეტ. | შენობა-ნაგებობის მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა (რეკონსტრუქცია). შენობა-ნაგებობის მესამე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა (რეკონსტრუქცია). | 90 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3.ეტ. | შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა (რეკონსტრუქცია). არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა (რეკონსტრუქცია), შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა. | 150 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

შემსრულებელი : ლ.ალავერდაშვილი

შენიშვნა: სამუშაოები არის 255 დადგენილების 20 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული დასახლების იდენტურად გადმოტანილი

შპს დაიმონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

# მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ-გეგმა




შენიშვნა: ვინაიდან შენობის გარე კონტური რიგ ადგილებში ემთხვევა მომიჯნავე საკადასტრო ერთეულების წითელ ხაზებს, სამუშაოების დაწყების დროს , სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია შეუთანხმდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მეპატრონეებთან და განათავსოს დროებით უსაფრთხოების ღობე მათ ტერიტორიაზე, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება.

შემსრულებელი : ლ.ალავერდაშვილი

შპს დიამონდ კონსტრაქშენ
Diamond Construction LTD 404541297

# უსაფრთხოების ღობის ჭრილი

